# ალიანსი საქართველოსთვის

## ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ქართული სოფელი

2ლ

PX 4674/1.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში „ალიანსი საქართველოსთვის“ გპირდებათ:

- გაგრძელდება და უფრო ეფექტური გახდება პროგრამა „დახმარება სოფელს“; ამ მიზნით მუნიციპალიტეტი მიიღებს სოფლის კრებების დებულებებს, რომლითაც განსაზღვრული იქნება სოფლის მიერ პრიორიტეტულ საჭიროებებზე გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული მექანიზმი. მუნიციპალიტეტის მიერ სოფელში (თემში) რწმუნებულად დაინიშნება სოფლის კრებებზე არჩეული შესაბამისი პირი;
- ყველა სოფელს განესაზღვრება თავისი ტერიტორია, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, ტყე, მდინარე, საძოვრები, წყალი;
- ყველა რაიონში გაიხსნება საკონსულტაციო ცენტრები ფერმერებისთვის, სადაც ისინი მიიღებენ უფასო კონსულტაციებს, შეღავათიანად შეიძენენ სათესლე მასალას, ნერგებს, შხამქიმიკატებს:
- იჯარით გაცემული ქონების საფასური მოხმარდება სოფელს;
- საგაზაფხულო სამუშაოებისთვის სოფლად მცხოვრებ ყველა ოჯახზე გაიცემა მიკროსესხები, რომლის პროცენტის ნაწილს დაფარავს სახელმწიფო;
- ყველა თემში სახელმწიფოს ხარჯზე შეიქმნება თემის საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის პარკები (მანქანა-ტრაქტორთა სადგურები);
- მუნიციპალური ბიუჯეტების მეშვეობით საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში განხორციელდება პროგრამა - „საწვავი - შეღავათიან ფასად“;
- 5 ჰექტრამდე ოდენობის მიწის ნაკვეთზე სარწყავი წყლის გადასახადის 50%-ს დაფარავს მუნიციპალური ბიუჯეტი;
- აღდგება ჰიდროსამელიორაციო სისტემები;
- მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯზე ყველა თემს მოემსახურება აგრონომი და ვეტერინარი;
- მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაიფარება შინაური ცხოველების აცრები;
- ყველა სოფელი უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომი ტრანსპორტით რაიონულ ცენტრამდე;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ სექტორს ექნება პრიორიტეტული მხარდაჭერა;
- განხორციელდება აგროჰოლდინგური გაერთიანებების მხარდაჭერა, სადაც ინტეგრირებული იქნება სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია;
- ხელი შეეწყობა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისა და ფერმერული გაერთიანებების ფორმირებასა და საქმიანობას.

n 116/1573

## „ალიანსი საქართველოსთვის“ განსაკუთრებით იზრუნებს მთის სოფლებზე, რისთვისაც:

- მაღალ მთაში მცხოვრებ თითოეულ კომლზე მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაწესდება ჯილდო მთის შენარჩუნებისთვის თვეში 100 ლარის ოდენობით;
- მაღალმთიან რეგიონებში ყოველ ახლადშექმნილ ოჯახს საჩუქრის სახით მიეცემა 5000 ლარი, იმ პირობით, რომ ეს ოჯახი ამ სახლში უწყვეტად 10 წელი იცხოვრებს;
- ხელი შეეწყობა ექსპორტზე ორიენტირებული მეცხოველეობის განვითარებას მთაში;
- ყველა ოჯახი, რომელსაც ჰყავს 3 და მეტი არასრულწლოვანი შვილი ყოველთვიურად მიიღებს დახმარებას თითოეულ შვილზე 30 ლარის ოდენობით;
- მაღალმთიან სოფლებში ყოველ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების სახით გაიცემა 500 ლარი.

დამკვეთი: საარჩევნო ბლოკი: "ალიანსი საქართველოსთვის" (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი) საარჩევნო კამპანიის ფონდი; მისამართი: ჟ. კალანდაძის 3.
შემსრულებელი: შპს „ტორი პლუსი“. მისამართი: ზიგზაგისა და გვაზაურის ქუჩების კვეთა. ტირაჟი: 50 000. თარიღი: 15.05.2010

# ალიანსი საქართველოსთვის

ალიანსი საქართველოსთვის

## საარჩევნო პროგრამა

2



## ჩვენ შევცვლით!!!

## საარჩევნო პროგრამა

დღეს ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. მისი ფუნქციები შეთავსებული აქვს ცენტრალურ და სამხარეო ხელისუფლებას და შესაბამისად მათი განხორციელება არაადეკვატური და არაეფექტურია.

*ჩვენი მიზანია:*

უზრუნველვყოთ ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და ჩამოვაყალიბოთ ქვეყანაში რეალური თვითმმართველობა. ამ თვალსაზრისით სამომავლოდ უნდა მოხდეს კომპეტენციების მკაფიო გამიჯვნა, ადმინისტრაციული და ფინანსური დეცენტრალიზაცია.
2010 წლის 30 მაისის არჩევნებისთვის ალიანსის პროგრამა ეფუძნება თვითმმართველობის არსებულ საკანონმდებლო ბაზას, რათა ამ ჩარჩოებში მაინც მოხერხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედითობის ზრდა. მთავარი ამოცანა კი ადამიანის ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თვითმმართველობაა.

## ჯანდაცვა

***ყველაზე ღირებული ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა!***
მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამა -"სამედიცინო მომსახურება ყველას", დაეფუძნება 4 ძირითად პროგრამულ კომპონენტს:

1. **უფასო ოჯახის ექიმი - ყველა მოქალაქეს**
2. **სამედიცინო დაზღვევა - ყველა ოჯახს:**
   - 3 წლამდე და 65 წელს ზევით მოსახლეობის უფასო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით სრულად უზრუნველყოფა
   - ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა სამედიცინო დაზღვევით, რომელიც მთლიანად დაფარავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს
3. **უფასო და იაფი წამალი ყველა მოქალაქეს:**
   - უფასო წამალი ბავშვებს და ხანდაზმულებს
   - წამალი შეღავათიან ფასად ყველა მოქალაქეს
4. **უფასო მშობიარობა და ორსულობის პატრონაჟი თითოეულ ორსულზე 800 ლარიანი ვაუჩერის გაცემით**

## დასაქმება

***დასაქმების პროგრამა: „ახალი საოჯახო და მცირე საწარმოები საქართველოში".***
„ალიანსი საქართველოსთვის" დასაქმების პროგრამა, საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის მეშვეობით, ქვეყანაში ითვალისწინებს საოჯახო და მცირე საწარმოების შექმნას.
„საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი" უზრუნველყოფს საოჯახო და მცირე მეწარმეებს (განსაკუთრებით დამწყებებს) საკრედიტო გარანტიით და სესხის დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ფონდში ყოველწლიურად თავს მოიყრის სახსრები ადგილობრივი



ალიანსი საქართველოსთვის

ბიუჯეტიდან (ხარჯვითი ნაწილის არანაკლებ 15 პროცენტისა). მუნიციპალიტეტებში, სადაც ძირითადად აგრარული სექტორია წარმმართველი. ფონდი პრიორიტეტულად დაუჭერს მხარს ფერმერული მეურნეობების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების სექტორს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. ამასთან, დამწყებ მეწარმეთა ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის შეიქმნება საკონსულტაციო ცენტრები, სადაც მათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაეხმარებიან ბიზნესგეგმის მომზადებაში.კონსულტაციებს გაუწევენ მცირე ბიზნესის წამოწყებისათვის საჭირო იურიდიულ, ფინანსურ და მარკეტინგულ საკითხებში. საკონსულტაციო ცენტრები განთავსდება მუნიციპალიტეტების შენობებში.

*„საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდიდან" სესხის აღების ძირითადი პირობები:*

1. **სესხის ოდენობა - 20 000 ლარამდე**
2. **სესხის გარანტია - ფონდის დეპოზიტი**
3. **საპროცენტო განაკვეთი - 8%**
4. **სესხის დაფარვის პერიოდი - 36 თვემდე**
5. **შეღავათიანი პერიოდი - 6 თვემდე (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე)**

**ჩვენ ასევე შევქმნით ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტს, რომელიც დაიცავს მეწარმეების უფლებებს და ამით ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.**

## სოციალური პროგრამა

- ზამთრის პერიოდში ყველა პენსიონერი და დევნილი მიიღებს 100 ლარიან დანამატს გაზისა და ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული ყველა დევნილი დამატებით მიიღებს შემწეობას თვეში 10 ლარის ოდენობით;
- მივაღწევთ, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა—ნაგებობებში მცხოვრებ დევნილებს კერძო საკუთრებაში დაუკანონდეთ დაკავებული ფართები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მიიღებენ თვეში დანამატს 10 ლარს;
- საქალაქო ინფრასტრუქტურაში (გზები, გადასასვლელები, ტროტუარები, ტრანსპორტი, სახლების სადარბაზოები) სტანდარტული პირობების შექმნით ვუზრუნველყოფთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გაადვილებულ და უსაფრთხო გადაადგილებას;
- ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, სამხედრო ძალების ვეტერანები, მარჩენალდაკარგულები, ომის მონაწილეებთან გათანაბრებულები ზამთრის პერიოდში მიიღებენ 100 ლარიან ვაუჩერს გაზისა და ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად;
- სამ და მეტ შვილიანი ოჯახებისათვის გაიზრდება ერთჯერადი მატერიალური დახმარება მესამე და მეტი შვილის დაბადებისათვის (მე-3 შვილზე - 800 ლარი; მე-4 შვილზე 1000 ლარი; მე-5 შვილზე 1500 ლარი და ყოველ შემდგომ შვილზე 500 ლარით მეტი); ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ოჯახს ყოველთვიურად დაენიშნება 50 ლარიანი დახმარება.

**ჩვენ შევცვლით!!!**